ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 91
12/06/2018

91-08-4-201806121546

# საკრებულოს თავმჯდომარის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობისა და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 10/07/2017 წლის N124 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობისა და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 10/07/2017 წლის N124 ბრძანების დანართში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით .

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა